

**სკოლა „აპოდიქსის“ მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კონკურსები, მიღწევები
2014- 2015 სასწავლო წელი**

#	მნიშვნელოვანი ღონისძიებები/კონკურსები/ მიღწევები	მოკლე აღწერა	დრო
1.	ახალი 2014-2015 სასწავლო წელი სკოლა „აპოდიქსში“ - ზეიმი	„აპოდიქსელები“ ტრადიციულად შეეგებნენ ახალ სასწავლო წელს. იყო მხიარული განწყობა. პირველკლასელებმა უჩვეულო გამბედაობით წარმოთქვეს ლექსები სკოლაზე. სკოლის დირექციამ პატარები დაასაჩუქრა. უკვე მეთერთმეტედ გაიხსნა ჯადოსნური ყუთიც და წლის პირველი ზარის დარეკვის უფლება პირველკლასელმა დიმიტრი ჯაიანმა მოიპოვა. აღინიშნა გასული წლის მიღწევები და სკოლის წარმატებული მოსწავლეები სიგელებით დაჯილდოვდნენ.	15.09.14
2.	კონცერტი ღია ცის ქვეშ	15 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ კონცერტზე, რომელიც გაიმართა ღია ცის ქვეშ (ქალაქ სენაკში, კინოთეატრ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე), მონაწილეობა მიიღეს სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა: ლუკა პერტაიამ, მარიამ მირცხულავამ, გიორგი გალდავამ, მარი ქაქუთიამ და ლიზი ყურაშვილმა.	15.09.14
3.	ჯამბაზები სკოლა „აპოდიქსში“	ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სკოლა „აპოდიქსი“ მხიარულმა ჯამბაზებმა მოინახულეს; მოსწავლეებს სასიძოვნო განწყობა დაეუფლათ, განსაკუთრებით იმხიარულეს უმცროსკლასელებმა. სკოლაში მხიარული განწყობა სუფევდა.	23. 09.14
4.	„გადავარჩინოთ დედამიწა, გავუფრთხილდეთ ტყეს“	7 ოქტომბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VIII კლასში ჩატარდა პრეზენტაცია - „გადავარჩინოთ დედამიწა, გავუფრთხილდეთ ტყეს“, რომელიც ეძღვნებოდა მიმდინარე გლობალურ პრობლემებს. მოსწავლეებმა მოიძიეს საინტერესო მასალები, წარმოადგინეს ნამუშევრები, აქტიურად ითანამშრომლეს პროექტის ხელმძღვანელთან, ერთად დასახეს პრობლემის მოგვარების გზები. პროექტის ხელმძღვანელი - ნანა იოსავა.	7.10.14
5.	„ეტალონის“ ვიზიტი სენაკში.	სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა შემეცნებითი გადაცემა „ეტალონის“ შემოქმედებითი კოლექტივის შეხვედრა სენაკელ ახალგაზრდებთან. „ეტალონის“ ცნობილმა წამყვანმა ბატონმა გოჩა ტყემელაშვილმა დარბაზი აიყოლია გადამდები ენერჯითა და ენთუზიაზმით. გადაცემის ჩაწერა სენაკელთა მონაწილეობით მაისისთვისაა დაგეგმილი. შეხვედრას ეწრებოდნენ „აპოდიქსის“ მოსწავლეები: ნ. კორშია, თ. გაგუა, ნ. გოგია, მ. გოგია, ქ. გოგია, ქ. გოლობიანი, მ ნაროუშვილი, გ. ხორავა, ნ. ქეცბაია, გ. გვიჩია	22. 10. 14
6.	ბუნების მშვენიერება იაკობის შემოქმედებაში	28 ოქტომბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VI კლასში ჩატარდა ღონისძიება „იაკობ გოგებაშვილი - ბუნების კარის შემქმნელი“, რომელიც მიემდვნა ი. გოგებაშვილის 174 - ე წლისთავს. მოსწავლეებმა ისაუბრეს ი. გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ყურადღება გაამახვილეს იაკობის შემოქმედებასა და ბუნების მშვენიერებაზე (ხელმძღვანელი - ნანა იოსავა).	28.10.14
7.	ტესტირება IX – XII კლასებში	31 ოქტომბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება IX – XII კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ეტალონი“, რომელიც ჩატარდება სკოლა „აპოდიქსში“	31.10.14

8.	„აპოდიქსის ეტალონი“	7 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტესტირების გზით შერჩეული მაღალი კლასის მოსწავლეები. „ეტალონის“ გამარჯვებული გახდა XI კლასის მოსწავლე - ნ ი კ ა კ ო რ შ ი ა; ხოლო მესამე - მეორე ადგილები მოიპოვეს მოსწავლეებმა - თორნიკე ხოფერიამ და ნინო გოგიამ. გამარჯვებული მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით; ხოლო მეორე - მესამე ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.	07.11.2014
9.	მეგობრული მატჩი	10 ნოემბერს ჩატარდა მეგობრული - „მხიარული“ მატჩი ფეხბურთსა და კალათბურთში სკოლა „აპოდიქსის“ და სოფ. ნოსირის სკოლის მოსწავლეებს შორის (ხელმძღვანელები: აჩიკო ჯღამაია და რომეო წულაია). ამ გუნდებს შორის ხშირად იმართება მეგობრული თამაშები.	10.11.14
10.	„აპოდიქსის“ პატარა ექიმები	12 ნოემბერს სკოლა „აპოდიქსის“ მე-8 კლასში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი ბიოლოგიაში ტელე - გადაცემის ფორმატით (გადაცემა „ექიმების“ ანალოგიით). თემა იყო გულ-სისხლძარღვთა სისტემა და მასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი, მათ მიერ დამუშავებული თემები, ფოტო-სლაიდები, მოაწყვეს ცოდნის დემონსტრირება პირველადი დახმარების გაწევაში, აქტიურად იყვნენ ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში, რომელიც ინფორმაციულად საკმაოდ დატვირთული იყო (ხელმძღვანელი - ნანა ხურცილავა).	12.11.14
11.	სამოქალაქო განათლება - პიროვნული თავისუფლება	19 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ და სკოლა „არეას“ მოსწავლეთა მონაწილეობით, ჩატარდა მეგობრული შეჯიბრი სამოქალაქო განათლებაში. ღონისძიების მიზანი იყო ერთგვარი შემზადება 22 ნომბერს დაგეგმილი სამოქალაქო განათლების ოლიმპიადისათვის. პედაგოგები სანთა სიჭინავა, ელენე როგავა და ლელა გაბრავა	19. 11. 14
12.	საოცნებო ქვეყანა	19 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ მე-9 კლასში (ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია), ჩატარდა ღონისძიება „საოცნებო ქვეყნები“ - რუსულ ენაზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს საქართველო თავისი კუთხეებით, ღონისძიება დაამშვენეს სიმღერითა და ცეკვით.	19. 11. 14
13.	ოლიმპიადა სამოქალაქო განათლებაში	22 ნომბერს, სკოლა „აპოდიქსის“ 28 აქტიურმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში.	22.11.14
14.	„ოქროსფერი შემოდგომა“	24 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა პირველი კლასის ღონისძიება „ოქროსფერი შემოდგომა“. მოსწავლეებმა ლექსებითა და მხიარული სიმღერებით გააცილეს ბარაქიანი შემოდგომა... (პედაგოგები: ლია წოწერია, მაკა გიორგაძე).	24.11.14
15.	„ვუმდერ სამშობლოს“.	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სასკოლო კონკურსში „ვუმდერ სამშობლოს“, ჩაიწერა სიმღერა, აიტვირთა სკოლის youtube -ის გვერდზე და მონაწილეობას მიიღებს გამოცხადებულ კონკურსში.	24.11.14
16.	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის პირველ ტურში გამარჯვება მოიპოვა სკოლა „აპოდიქსის“ მე - 10 კლასის მოსწავლე გიორგი ხორავამ. წარმატებები გიორგის!	05.12.14
17.	„კაცია - ადამიანი?!“	16 ნოემბერს, სკოლა „აპოდიქსის“ VII- VIII კლასებში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოსწავლეებმა ისაუბრეს დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გააცოცხლეს ილია	16.12.14

		ჭავჭავაძის „კაცია - ადამიანის?!“ პერსონაჟები, გამოავლინეს შემოქმედებითი უნარ - ჩვევები (ხელმძღვანელი - გულისა გეგეშიძე)	
18.	„მე სამშობლო ხატად მინდა...“	19 დეკემბერს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა გეოგრაფიული კონკურსი სკოლა „აპოდიქსისა“ და სკოლა „არეას“ IX კლასელებს შორის. კონკურსის მიზანი იყო - მოსწავლეებს გამოეყვინათ საგნობრივი ცოდნა, რასაც ძალიან კარგად გაართვეს თავი. (გეოგრაფიის პედაგოგი - ნანა იოსავა).	19.12.14
19.	I კლასის საახალწლო ღონისძიება	სკოლა „აპოდიქსის“ საახალწლო კვირეული 25-30 დეკემბრამდე სპექტაკლი - „წითელქუდა“ (პედაგოგი - ლია წოწერია).	25-30 2014
20.	II - III კლასების საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ II - III კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - ანა კილასონია)	25-30 2014
21.	მე-4 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-4 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - თეა თაქთაქიშვილი)	25-30 2014
22.	მე-7 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-7 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - მაია ოდიშარია)	25-30 2014
23.	მე-8 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-8 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - ლელა გაბრავა)	30.12.14
24.	მე-9 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-9 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - ნანა ხურცილავა)	30.12.14
25.	საქველმოქმედო გამოფენა - გაყიდვა	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლე - მასწავლებელთა თექის საახალწლო ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა - გაყიდვა	30.12.14
26.	მე-6 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-6 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - გულისა გეგეშიძე)	30.12.14
27.	მე-5 კლასის საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ მე-5 კლასის საახალწლო ღონისძიება (პედაგოგი - ლელა გაბრავა)	30.12.14
28.	X - XI კლასების საახალწლო ღონისძიება	„აპოდიქსის“ X - XI კლასების საახალწლო ღონისძიება (მაია ოდიშარია)	30.12.14
29.	„აპოდიქსის“ პატარა ექიმები 2	28 იანვარს სკოლა „აპოდიქსის“ მე-8 კლასში ჩატარდა მეორე საჩვენებელი გაკვეთილი ბიოლოგიაში ტელე - გადაცემის ფორმატით (გადაცემა „ექიმების“ ანალოგიით). თემა იყო - „ბაქტერიული დაავადებები“. მოსწავლეებმა მოახდინეს პირველადი მედიკამენტების მოხმარების დემონსტრირება, განიხილეს ბაქტერიული დაავადებები, (ხელმძღვანელი - ნანა ხურცილავა).	28.01.15
30.	„ჩვენ ვემზადებით მარსზე სამოგზაუროდ“	6 თებერვალს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა მე-6 კლასის ღონისძიება - „ჩვენ ვემზადებით მარსზე სამოგზაუროდ“; მოსწავლეებმა შეისწავლეს მზის სისტემის პლანეტები, მოიძიეს ინფორმაციები და საჭირო დეტალების დახმარებით შექმნეს თვალსაჩინოებები. (ხელმძღვანელი - ნანა იოსავა).	06.02.15
31.	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტური	სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურში, 8 თებერვალს, მონაწილეობა მიიღო სკოლა „აპოდიქსის“ X კლასის მოსწავლემ - გია ხორავამ.	06.02.15
32.	„ყველაფერი დავით აღმაშენებლის შესახებ“	9 თებერვალს სკოლა „არეასში“ ჩატარდა ღონისძიება „ყველაფერი დავით აღმაშენებლის შესახებ“ (ღონისძიება მიეძღვნა „დავითობას“) ხელმძღვანელი - ელენე როგავა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლა „არეასა“ და სკოლა „აპოდიქსის“ მე-9 კლასის მოსწავლეებმა. გამარჯვება მოიპოვა „აპოდიქსის“ მე-9 კლასმა.	09.02.15

33.	„ეტალონის“ შესარჩევი ტურის შედეგები VII – VIII კლასებში	16 თებერვალს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება VII – VIII კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ეტალონი“, რომელიც ჩატარდება სკოლა „აპოდიქსში“ 23 თებერვალს.	16.02.15
34.	„ეტალონი“ VII – VIII კლასებში	23 თებერვალს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ტესტირების გზით შერჩეული შემდეგი მოსწავლეები. გამოვლინდა „ეტალონის“ გამარჯვებული - ანა გოროზიანი, ხოლო მეორე ადგილები თანაბრად გაინაწილეს - ნანუკა ტაბაღუამ და ზურიკო გვალიამ. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელი და ფასიანი საჩუქრები.	23.02.15
35.	25 თებერვალი...	25 თებერვალს, სკოლა „აპოდიქსის“ მე - 7 კლასის მოსწავლეებმა პატივი მიაგეს ქართველ იუნკერთა ხსოვნას. პედაგოგები - გულისა გეგეშიძე და ლელა გაბრავა.	25.02.15
36.	ჟიული შარტავას კვირეული	5 მარტს, სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ჟიული შარტავას დაბადების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა კვირეულში ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიციით - „აფხაზეთი - მწუხარე ლეგენდა“ (პედაგოგები: მათა ოდიშარია და ლალი გოგია).	5.03.15
37.	მიიღე განათლება, რათა მსოფლიომ მიგიღოს შენ!	12 მარტს, მეგობარ სკოლა „არეაში“ ჩატარდა საინტერესო ღონისძიება - „ყველაფერი მეტალების გარშემო“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „არეასა“ (პედაგოგი - მედეა ქობალია) და სკოლა „აპოდიქსის“ (პედაგოგი - დარეჯან კიკილაშვილი) მოსწავლეები. ღონისძიება ორ ნაწილად იყო დაყოფილი: <ul style="list-style-type: none"> • I ნაწილი - ქიმიის პედაგოგმა, მედეა ქობალიამ, წარმოადგინა პროექტი „არეას“ მე - 9 კლასის მონაწილეობით; • II ნაწილი დაეთმო პროგრამულ და არაპროგრამულ კითხვა - პასუხებს (ღინისძიების 	12.03.15
38.	„ყველაზე ჭკვიანის“ შესარჩევი ტური V – VI კლასებში	13 მარტს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება V – VI კლასებში. ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ყველაზე ჭკვიანი“.	13.03.15
39.	კონფერენცია თემაზე "школьная жизнь"	კონფერენცია თემაზე "школьная жизнь" (პედაგოგი - მათა ოდიშარია, კლასი - XI)	13.03.15
40.	„ყველაზე ჭკვიანი“ V - VI კლასებში	V – VI კლასების „ყველაზე ჭკვიანი“ გახდა VI კლასის მოსწავლე - ს ა ბ ა ქ ა ქ უ თ ი ა. 20 მარტს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - „ყველაზე ჭკვიანი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ტესტირების გზით შერჩეული V - VI კლასების მოსწავლეები. ფინალურ ტურში გადასვლა შეძლეს შემდეგმა მოსწავლეებმა: საბა ქაქუთიამ, თამთა უბილაგამ და ლადო ბურჯანაძემ; გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელი და ფასიანი საჩუქრები.	20.03.15
41.	„რა? სად? როდის?“ - გუნდური შეჯიბრი	23 მარტს, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელიც მიემდგვნა „არეას“ კურსდამთავრებულის (ყოფილი ინტელექტუალის) - სერგო პერტიას ხსოვნას. გუნდური შეჯიბრში მონაწილეობდნენ სკოლა „აპოდიქსისა“ და სკოლა „არეას“ მოსწავლეები. თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდმა ინტელექტის მაღალი დონე უჩვენა.	23.03.15
42.	შესარჩევი ტესტირება	„ინტელექტის დღის“ შესარჩევი ტესტირება „აპოდიქსის ეტალონებში“	27.03.15

43.	ნახევარფინალში ვართ...	დღეს გაიმართა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში სენაკის რაიონის სკოლებს შორის. სკოლა „აპოდიქის“ გუნდი, კენჭისყრით, შეხვდა სენაკის მეორე საჯარო სკოლას და მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება 57: 38	8.04.15
44.	„მართვა სიამოვნებაა“	<ul style="list-style-type: none"> • 7 აპრილს, სკოლა „აპოდიქის“ მე - 8 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი - „მართვა სიამოვნება“, რომლის მიზანი იყო ტრანსპორტის ისტორიასა და განვითარების აუცილებლობაზე მსჯელობა, ასევე იმ საფრთხეების გათვალისწინება, რომელთაც იწვევს გადასაადგილებელი საშუალებების მომრავლება. • პროექტში წარმოდგენილი იყო ცოცხალი ქალაქის მაკეტი, ასევე ჩანახატი კედელზე - „ქალაქი ოდესღაც...“ და „დაბინძურებული ქალაქი“. (პროექტის ხელმძღვანელი - ნანა იოსავა). 	7. 04. 15
45.	კიდევ ერთი გამარჯვება...	9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ კალათბურთის ტურნირში, სენაკის რაიონის სკოლებს შორის, სკოლა „აპოდიქის“ გუნდმა გამარჯვება მოიპოვა: ნახევარფინალში სენაკის მესამე საჯარო სკოლის გუნდი დაამარცხა, ხოლო ფინალში ნოსირის საჯარო სკოლის გუნდი.	8. 04. 15
46.	„რა? სად? როდის?“	16 აპრილს, მეგობარ სკოლა „არეში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლა „აპოდიქისა“ და სკოლა „არეას“ მოაზროვნეები. თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდმა ინტელექტის მაღალი დონე უჩვენა. საბოლოოდ, უპირატესობა სკოლა „აპოდიქის“ გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებით კი, ტრადიციულად მეგობრობამ გაიმარჯვა...	16. 04. 15
47.	გამარჯვებები გრძელდება... „ინტელექტის დღე 2015“	• 18 აპრილს, ქ. სენაკში ჩატარდა „ინტელექტის დღე 2015“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა რაიონის 17 სკოლა; გაიმართა დამატებითი ტური, სკოლა „აპოდიქისა“ და პირველ საჯარო სკოლას შორის. გამარჯვება მოიპოვა „აპოდიქისმა“.	18. 04. 15
48.	„ო, ენავ, ჩემო“	არის ღირებულებანი, რომელიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია და მისი დაკარგვა დანაშაულის ტოლფასია. ერთ - ერთი ასეთი ღირებულება ქართველისათვის არის მშობლიური ენა. სწორედ ამ სიწმინდის დაცვას მიემდგვნა „აპოდიქის“ მეშვიდე კლასში ჩატარებული ღონისძიება „ო, ენავ, ჩემო“ (პედაგოგი - ლელა გაბრავა).	24.04.15
49.	თამბაქოს კვირეულთან დაკავშირებული ნახატების კონკურსი	თამბაქოს კვირეულთან დაკავშირებულ ნახატების კონკურსისთვის შეირა და გაიგზავნა სამი ნახატი: სალომე კაკულიას (VIII კლ.), მაგდა გოგოლის (VIII კლ.) და ზურაბ გვალიას (VII კლ.)	15.05.15
50.	„ინტელექტის დღე 2015“-ის ფინალი	16 მაისს, კლუბ „ტრიუმფში“ ჩატარდა ყველაზე მასშტაბური ინტელექტუალური შეჯიბრი - „ინტელექტის დღე 2015“-ის ფინალური ეტაპი. ტურნირში, მუნიციპალურ რაუნდში გამარჯვებული, 72 სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას. სკოლა „აპოდიქის“ ინტელექტუალთა გუნდი მესამე წელია ამ პროექტში მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს - ზედიზედ მეორე წელია, რაც მუნიციპალურ რაუნდებში იმარჯვებს და წარმატებულად ასპარეზობს „ინტელექტის დღის“ ფინალურ ტურებშიც. წარმატებები ჩვენს მოაზროვნეებს: გიორგი ხორავას, ნიკა კორშიას; თაზო გაგუას, ნინო გოგიას, ლუკა ჯაკობიას, მარი გოგიას, სალომე სასანიას, თორნიკე ხოფერიას, ზაჩო ჭანტურიას - ყველაზე კარგი თამაში მათ წელს უჩვენეს, განსაკუთრებით პირველ ორ ტურში - ლიდერ გუნდებს შორის იყვნენ. გამარჯვებები არ მოგვკლებოდეს!	16.05.15

51.	"გალაკტიონობა 2015"	„აპოდიქსელებმა“ მონაწილეობა მიიღეს "გალაკტიონობა 2015-ის" შესარჩევ ტურში.	19. 05.15
52.	„ყველაზე ჭკვიანი“ (თემა - ჩვენი საქართველო)	29 მაისს, სკოლა „აპოდიქსის“ მე - 5 კლასში, ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ყველაზე ჭკვიანი“ საგანში - ჩვენი საქართველო. ეს იყო ცოდნის ერთგვარი შეჯამება, საგაკვეთილო პროცესისგან განსხვავებულ, სახალისო ფორმატში. მოსწავლეები შეეცადნენ თავიანთი ცოდნის წარმოჩენას, თუმცა ყველაზე უკეთ ეს შეძლეს ფინალურ ტურში გადასულმა მოსწავლეებმა: თამთა უბილავა (I ადგილი), ნია რუსიამ (II ადგილი) და ლადო ბურჯანაძემ (III ადგილი), გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით; ასევე, გამოვლინდნენ და დასაჩუქრდნენ წლის განმავლობაში საუკეთესო საშინაო დავალების რვეულის წარმოებისათვის (საგანში - ჩვენი საქართველო) შემდეგი მოსწავლეები: თამთა უბილავა, ნია რუსია და დავით კორსავა - მათ გადაეცათ მადლობის ბარათები.	29.05.15
53.	„ბუნების ქომაგი“	28 მაისს სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა უმცროსკლასელთა ინტელექტუალური თამაში „ბუნების ქომაგი“, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლა „აპოდიქსის“ იმ მოსწავლეებმა, რომლებიც შეიჩნენ ტესტირების გზით - ხატია კვაშილავა (IV კლასი), ნია რუსიამ (V კლასი) და მარიამ ვეკუამ (VI კლასი).	28.05.15
54.	„ფრინველთა დღესასწაული“	პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, სკოლა „აპოდიქსის“ I კლასში ჩატარდა ღონისძიება - „ფრინველთა დღესასწაული“. ჩატარდა წამახალისებელი „იღბლიანი გათამაშება“, იღბლიანი მოსწავლე აღმოჩნდა დიმიტრი ჯაიანი, რომელსაც გადაეცა საინტერესო სათამაშო წიგნით - „ხელმარჯვე ოსტატი“, ასევე, ჩატარდა წმ. ნინოს დღესთან დაკავშირებული კონკურსი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა გამარჯვებული - ნინო ქვარცხავა, მას გადაეცა საინტერესო სათამაშო წიგნით - „პრანჭია პრინცესა“. ღონისძიების ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი. (კლასის ხელმძღვანელი - ლია წოწერია; ღონისძიების ორგანიზატორი - მაკა გიორგაძე).	1. 06. 15
55.	VIII კლასის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა	1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, მოეწყო VIII კლასის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, გამოვლინდნენ საუკეთესო ნახატების ავტორები: სალომე კაკულია და მაგდა გოგოლი.	01.06.15
56.	VII კლასის ღონისძიება (11. 06. 15)	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეთა 2014 – 2015 სასწავლო წლის დასასრულთან დაკავშირებული ღონისძიებები. VII კლასის ღონისძიება (ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია).	11. 06. 15
57.	IV კლასის ღონისძიება (11. 06. 15)	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეთა 2014 – 2015 სასწავლო წლის დასასრულთან დაკავშირებული ღონისძიებები. IV კლასის ღონისძიება (ხელმძღვანელი - თეა თაქთაქიშვილი)	11. 06. 15
58.	VIII კლასის ღონისძიება (11. 06. 15)	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეთა 2014 – 2015 სასწავლო წლის დასასრულთან დაკავშირებული ღონისძიებები. VIII კლასის ღონისძიება (ხელმძღვანელი - ლელა გაბრავა).	11. 06. 15
59.	<u>ნოქალაქევის საზაფხულო სკოლა 2015</u>	სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის და ნოქალაქევის ბრიტანულ-ქართული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 27 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით, ფუნქციონირებდა ნოქალაქევის ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლა. რომელშიც ჩართული იყვნენ სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეები: მაგდალინა კუხალეიშვილი და ნიკა კორშია.	27. 06 – 22. 07. 2015

დამატებითი ინფორმაცია, ასევე, ფოტო და ვიდეო მასალა, შეგიძლიათ იხილოთ სკოლა „აპოდიქსის“ facebook -ის გვერდზე - Skola Apodiqsi